თსუ ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს
2022 წლის 15 აპრილის დისტანციური სხდომის

ო ქ მ ი N 2

2022 წლის 15 აპრილს შედგა თსუ ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დისტანციური სხდომა. სხდომას ესწრებოდნენ სამეცნიერო საბჭოს წევრები, მთავარი მეცნიერი თანამშრომლები: **გიორგი ჭეიშვილი, ლავრენტი ჯანიაშვილი, ლევან გორდეზიანი, მარიამ ჩხარტიშვილი, ავთანდილ სონღულაშვილი, ვაჟა კიკნაძე, ნიკოლოზ ჯავახიშვილი, ქეთევან ხუციშვილი, ნინო მინდაძე, როლანდ თოფჩიშვილი, სალომე ოქრუაშვილი, ლიანა ბითაძე;** ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, **ვალერიან ვაშაკიძე** (კენჭისყრაში მონაწილეობის უფლების გარეშე). საბჭოს სხდომას ესწრებოდა სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დისტანციური სხდომის დღის წესრიგი, რომელიც მათ წინასწარ ჰქონდათ ელექტრონულად გაგზავნილი:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის განხილვა** (დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით, ოქმი N 3) (დანართი 1).
2. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა საკონკურსო განცხადების ფორმის განხილვა** (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №6/2017 დადგენილებით, დანართი №2) (დანართი 2).
3. **კონკურსის გამოცხადება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად** (დანართი 3).
4. **მიმდინარე საკითხები.**

კენჭისყრის შედეგად, დღის წესრიგი ერთხმად იქნა მიღებული.

მოისმინეს:

*1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის პროცედურის განხილვა*** (დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით, ოქმი N 3) (დანართი 1).

ლავრენტი ჯანიაშვილი: როგორც მოგეხსენებათ, მიმდინარე წლის 12 ივლისს ვადა ეწურება სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა შრომით ხელშეკრულებებს. ინსტიტუტის დებულების თანახმად, სამეცნიერო საბჭომ უნდა გამოახცადოს და ჩაატაროს კონკურსი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად. პირველ საკითხად განვიხილავთ საარჩევნო პროცედურას, რომელიც ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ დაამტკიცა 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით და საბჭოს წევრებს გასაცნობად ელექტრონულად გქონდათ გამოგზავნილი. იგი საკმაოდ მკაფიო და ნათელია, შედგენილია თსუ-ს წესდებისა და ინსტიტუტის დებულების გათვალისწინებით. თუ თვლით, რომ რაიმე სახის ცვლილებაა საჭირო აღნიშნულ პროცედურაში, გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი წინადადება.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** მარიამ ჩხარტიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა და სხვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: კოლეგებო, თუ ყველასთვის მისაღებია საარჩევნო პროცედურა წარმოდგენილი სახით, ვუყაროთ კენჭი, რომ სამეცნიერო სტუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები ჩატარდეს წარმოდგენილი პროცედურის მიხედვით.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე - 12 წინააღმდეგი – 0 თავი შეიკავა - 0 .

დაადგინეს: ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები ჩატარდეს პროცედურის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით (ოქმი N 3) (დანართი 1).

მოისმინეს:

> *2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა საკონკურსო განცხადების ფორმის განხილვა* (დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №6/2017 დადგენილებით, დანართი №2) (დანართი 2).

ლავრენტი ჯანიაშვილი: სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა საკონკურსო განცხადების ფორმა, რომელიც კონკურსანტმა უნდა წარმოადგინოს, არის სტანდარტული და დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის №6/2017 დადგენილებით, (დანართი №2). აღნიშნული ფორმა უნდა დაერთოს საკონკურსო განაცხადს და საბჭოს წევრებს გამოგეგზავნათ საინფორმაციოდ.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა და სხვა.

მოისმინეს:

3. ***კონკურსის გამოცხადება ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად*** (დანართი 3)***.***

ლავრენტი ჯანიაშვილი: სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად საკონკურსო განაცხადის პროექტი საბჭოს წევრებს ელექტრონული სახით გამოგეგზავნათ. მასში განსაზღვრულია ვაკანტური თანამდებობები, კანდიდატის საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წარმოსადგენი საბუთების ნუსხა. საჭიროა დავადგინოთ: კონკურსის გამოცხადების, საბუთების მიღების ვადები და არჩევნების ჩატარების დღე.

გაიმართა მსჯელობა. **აზრი გამოთქვეს:** ლევან გორდეზიანმა, მარიამ ჩხარტიშვილმა, გიორგი ჭეიშვილმა, ქეთევან ხუციშვილმა და სხვა.

ლავრენტი ჯანიაშვილი: კოლეგებო, ვუყაროთ კენჭი, რომ კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის **18 აპრილს,** საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ინსტიტუტის კანცელარიაში მოხდეს 2022 წლის **28 აპრილიდან** 2022 წლის **3 მაისის** ჩათვლით 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე. არჩევნების დღედ განისაზღვროს 2022 წლის **5 მაისი,** ხოლო კონკურსის საბოლოო შედეგი თსუ-ს ადმინისტრაციას ეცნობოს არაუგვიანეს 2022 წლის **16 მაისისა.** საკონკურსო განაცადი წარმოდგენილი სახით გაიგზავნოს თსუ-ში და განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

ჩატარდა ღია კენჭისყრა.

მომხრე - 12 წინააღმდეგი – 0 თავი შეიკავა - 0 .

დაადგინეს: გამოხცადდეს კონკურსი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად 2022 წლის 18 აპრილს; საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ინსტიტუტის კანცელარიაში მოხდეს 2022 წლის 28 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე; არჩევნების დღედ განისაზღვროს 2022 წლის 5 მაისი; ხოლო კონკურსის საბოლოო შედეგი თსუ-ს ადმინისტრაციას ეცნობოს არაუგვიანეს 2022 წლის 16 მაისისა; საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი სახით გაიგზავნოს თსუ-ში და განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (დანართი 3).

მოისმინეს:

4. მიმდინარე საკითხები.

ბატონმა ვაჟა კიკნაძემ სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე განაცხადა, რომ მიწვეულია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად აშშ-ში. შოთა რუსთაველის ეროვნულმა სამეცნიერო ფონდმა არ გამოაცხადა სამოგზაურო გრანტი, ამიტომ მან განცხადება დაფინანსების თაობაზე წარადგინა ინსტიტუტში. ვ. კიკნაძემ გამოთქვა პრეტენზია, რადგან ვერ მიიღო დაფინანსება იმიტომ, რომ ინსტიტუტის ბიუჯეტში არ არის საკმარისი თანხა, რადგან უნდა დაფინანსდეს ქ-ნ ქეთევან ხუციშვილისა და ქ-ნ მარიამ ჩხარტიშვილის მივლინებები საღვარგარეთ.

გიორგი ჭეიშვილი: როგორც ჩემთვის ცნობილია, აღნიშნული კონფერენცია ტარდება ორი ფორმატით (ონლაინ და დასწრების რეჟიმით). ვინაიდან სხვა თანამშრომლებმაც გამოთქვეს კონფერენციაში მონაწილეობის სურვილი და ყველას ვერ დავაფინანსებდით, მათ გაუწიეს ანგარიში ამ მოცემულობას და განაცხადი ონლაინ მონაწილეობაზე შეიტანეს. ინსტიტუტის ბიუჯეტში თანხები მხოლოდ ქვეყნის შიდა მივლინებებისთვის არის გათვალისწინებული და მოხმარდება ეთნოგრაფიულ ექსპედიციებს.

ქეთევან ხუციშვილი: მე განაცხადი ონლაინ მონაწილეობაზე მაქვს შეტანილი.

მარიამ ჩხარტიშვილი: მე ინსტიტუტიდან მხოლოდ საწევრო გადასადის დაფინანსებას ვითხოვდი. მეც ონლაინ მონაწილეობაზე მაქვს განაცხადი შეტანილი.

გიორგი ჭეიშვილი: ელექტრონულად უკვე გაცნობეთ პროექტ „ჰორიზონტი ევორპა“-ს პროგრამის შესახებ და გთხოვთ, გაეცნოთ. გვირჩევენ მაქსიმალურად ჩავერთოთ ამ პროექტში, რომ კვლევები იყოს ინტერდისციპლინარული. თუ ჩათვლით, რომ შესაძლებელია განაცხადების წარდგენა ამ პროექტში, უნივერსიტეტში შეიძლება მოხდეს შეხვედრა მის წარმომადგენლებთან.

ასევე შეგახსენებთ, რომ გადმოგიგზავნეთ შ. რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდისა და განათლების სამინისტროს კითხვარები. მათში უნდა შევიდეს მონაცემები 2000 წლიდან და შევსება ისევე სავალდებულოა, როგორც წლიური თემების შესრულება. გთხოვთ, უახლოეს მომავალში წარმოადგინოთ შევსებული ქართული კითხვარები, რომლებსაც ვთარგმნით ინგლისურად.

სხდომამ დაადგინა:

1. **ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევნები ჩატარდეს პროცედურის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია სამეცნიერო საბჭოს 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით (ოქმი N 3)** (დანართი 1).

2. **გამოცხადდეს კონკურსი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად 2022 წლის 18 აპრილს; საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება ინსტიტუტის კანცელარიაში მოხდეს 2022 წლის 28 აპრილიდან 2022 წლის 3 მაისის ჩათვლით 11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე; არჩევნების დღედ განისაზღვროს 2022 წლის 5 მაისი; ხოლო კონკურსის საბოლოო შედეგი თსუ-ს ადმინისტრაციას ეცნობოს არაუგვიანეს 2022 წლის 16 მაისისა; საკონკურსო განაცხადი წარმოდგენილი სახით გაიგზავნოს თსუ-ში და განთავსდეს ინსტიტუტის ვებ-გვერდზე** (დანართი 3).

სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე: **ლავრენტი ჯანიაშვილი**

სამეცნიერო საბჭოს მდივანი: **ლიანა ბითაძე**

15. 04. 2022

დანართი 1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის **– ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა არჩევის **პროცედურა**

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის (შემდგომში: „ინსტიტუტი“) სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს, ღია კონკურსის საფუძველზე, ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს დირექტორი.

2. ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო თავის სხდომაზე განიხილავს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის კანდიდატობის მსურველთა განცხადებებსა და მათზე დართულ დოკუმენტაციას და ნიშნავს კენჭისყრის დღეს.

3. ღია კენჭისყრა ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის (შემდგომში: „სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის“) ხელმძღვანელის ასარჩევად ტარდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე კენჭისყრისათვის განსაზღვრულ დღეს.

4. კენჭისყრის დაწყებამდე, სამეცნიერო საბჭო ღია კენჭისყრით საბჭოს წევრთაგან ირჩევს საარჩევნო კომისიას არანაკლებ 3 (სამი) და არაუმეტეს 5 (ხუთი) წევრის შემადგენლობით. საარჩევნო კომისიის წევრების არჩევის შემდეგ, სამეცნიერო საბჭოს წევრს უფლება აქვს ხმა მისცეს სასურველ კანდიდატს. სამეცნიერო საბჭოს წევრი უფლებამოსილია ხმა მისცეს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელობის მხოლოდ ერთ კანდიდატს.

5. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. თუ ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა ხმების საკმარისი ოდენობა, იმავე დღეს (ჩატარების დრო დგინდება სამეცნიერო საბჭოს მიერ) გაიმართება განმეორებითი (დამატებითი) კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობას იღებს ორი საუკეთესო შედეგის მქონე პირი. დამატებითი კენჭისყრის შედეგად, არჩეულად ჩაითვლება პირი, რომელსაც ხმა მისცა საბჭოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტმა. იმ შემთხვევაში, თუ დამატებითი კენჭისყრის შედეგადაც ვერც ერთმა პირმა ვერ მიიღო სამეცნიერო საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის ხმა, სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევნების პროცედურა ცხადდება და ტარდება ხელახლა, მოქმედი კანონდებლობის მოთხოვნათა დაცვით.

6. კენჭისყრის სხდომის დაწყებიდან საბოლოო შედეგების გამოვლენამდე, საარჩევნო კომისიის საქმიანობა ხორციელდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე საბჭოს წევრთა თანდასწრებით.

7. საარჩევნო კომისია უფლებამოსილია მიიღოს კენჭისყრის პროცედურებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება წინამდებარე წესით განსაზღვრულ ფარგლებში.

8. ზემოხსენებული პროცედურის შედეგები ცხადდება სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე, ხმის დათვლის პროცედურის დასრულების შემდგომ და სხვა აუცილებელ ინფორმაციასთან ერთად, შეიტანება სხდომის ოქმში. სხდომის ოქმის შინაარსი გაეცნობა საბჭოს წევრებს და მას ხელს აწერს სამეცნიერო საბჭოს (საბჭოს სხდომის) თავმჯდომარე და მდივანი. სხდომის ოქმი, რომელშიც ასახულია ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები, მტკიცდება ინსტიტუტის დირექტორის მიერ და მისივე კორესპონდენციით ეგზავნება უნივერსიტეტის ადმინისტრაციას შემდგომი რეაგირებისათვის.

9. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის არჩევის შედეგები შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით საქართველოს სასამართლოში.

დანართი 2

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
სამეცნიერო საბჭოს

მოქალაქე _____

(სახელი, გვარი, მისამართი)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

მსურს მონაწილეობა მივიღო სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის _____
(მიუთითეთ განყოფილების/ლაბორატორიის დასახ.)
განყოფილების/ლაბორატორიის ხელმძღვანელის, _____
(მიუთითეთ სამეცნიერო თანამდებობა)
თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში.

ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები უნივერსიტეტის წესდებას, ინსტიტუტის დებულებას, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო–კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიან წესსა და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებით პირობებს. თანახმა ვარ სამეცნიერო საბჭოს მიერ კონკურსის შედეგების მიღების შემდგომ, ჩემი საკონკურსო მონაცემების ის ნაწილი, რომელიც არ შეიცავს პირად ინფორმაციას, დაინტერესებული პირის წერილობითი მოთხოვნის შემთხვევაში, გაცემული იქნას კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ხელმოწერა: _____

თარიღი: _____

საკონტაქტო ინფორმაცია:

ტელეფონი:

ელ–ფოსტა:

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის **- ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელს, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის (შემდგომში „ინსტიტუტი“) დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე, 4 წლის ვადით ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ–თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 17 ნოემბრის N140/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 27 დეკემბრის N5 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი”-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და „საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“, ვაკანსიის შესაბამისად.

3. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს შესაბამისი დადგენილების საფუძველზე, კონკურსი ცხადდება შემდეგი ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად:

ა) **ძველი ქვეყნების ისტორიის განყოფილების** ხელმძღვანელი, 1 საშტატო ერთეული (დამატებითი მოთხოვნა: მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის (1 ს. ე. 10 წლ. ვადით) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

ბ) **შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და წყაროთმცოდნეობის განყოფილების** ხელმძღვანელი, 1 საშტატო ერთეული (დამატებითი მოთხოვნა: მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის (1 ს. ე. უვადოდ) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

გ) **ახალი და უახლესი ისტორიის განყოფილების** ხელმძღვანელი, 1 საშტატო ერთეული (დამატებითი მოთხოვნა: მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის (1 ს. ე. 10 წლ. ვადით) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

დ) **საქართველოს ეთნოლოგიის განყოფილების** ხელმძღვანელი, 1 საშტატო ერთეული (დამატებითი მოთხოვნა: მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის (1 ს. ე. უვადოდ) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

ე) **კავკასიის ეთნოლოგიის განყოფილების** ხელმძღვანელი, 1 საშტატო ერთეული (დამატებითი მოთხოვნა: მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის (1 ს. ე. უვადოდ) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

ვ) **ანთროპოლოგიური კვლევის ლაბორატორიის** ხელმძღვანელი, 1 საშტატო ერთეული (დამატებითი მოთხოვნა: მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის (1 ს. ე. უვადოდ) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

4. ძირითადი მოვალეობები: სტრუქტურული ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელმძღვანელობა და კოორდინაცია; სამეცნიერო პრიორიტეტების განსაზღვრა; განყოფილებისთვის წლიური გეგმის შედგენა-შესრულებაზე კონტროლი და სამეცნიერო საბჭოსა და დირექტორისათვის სათანადო ფორმით წარდგენა; საერთაშორისო და ადგილობრივ საგრანტო კონკურსებში წარსადგენი პროექტების შერჩევისა და მომზადების კოორდინაცია.

5. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:

5.1. მთავარი მეცნიერ-თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერ–თანამშრომლის თანამდებობაზე უვადოდ შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის, არანაკლებ 4 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით; ასევე, მონაწილეობა უნდა ჰქონდეს მიღებული ეროვნულ ან/და საერთაშორისო სამეცნიერო-კვლევით 2 პროექტში მაინც ან გააჩნდეს 2 სტატია იმპაქტ ფაქტორის მქონე ჟურნალში ან 2 სტატია, რომელიც ინდექსირებულია ERIH-ში (ვაკანსიის პროფილის შესაბამისად).

ბ) მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობაზე 10 წლის ვადით შეიძლება აირჩეს პირი, რომელსაც აქვს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი,

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არა მხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული, ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით (ვაკანსიის პროფილის შესაბამისად).

გ) კონკურსანტს ასევე მოეთხოვება (ვაკანსიის პროფილის მიხედვით): სამი ნაშრომის წარმოდგენა, რომელიც ყველაზე უკეთ ასახავს მის სამეცნიერო პოტენციალს. ნაშრომი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ქართულ, ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ ენებზე. სხვა შემთხვევაში, ნაშრომს უნდა ახლდეს ქართული თარგმანი.

5.2 კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება, კერძოდ: მეცნიერთა არანაკლებ 3 კაცისაგან შემდგარი ჯგუფის ხუთწლიანი ხელმძღვანელობა.

6. კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე დადგენილი ფორმის მიხედვით (განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი) (განცხადების ფორმა - დანართი N2);

ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (პასპორტი, პირადობის მოწმობა);

გ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო საქმიანობის გამოცდილების ამსახველი ინფორმაცია (მათ შორის სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის ჩამონათვალი, თარიღების მითითებით, სამეცნიერო ფორუმებში და არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია). ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word ან PDF;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვა);

ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) განყოფილების/ლაბორატორიის წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა;

თ) ცნობა ნასამართლობის შესახებ („უმაღლესი განათლების შესახებ“ 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს „სქესობრივი თავისეფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

7. კონკურსი ჩატარდება შესაბამისი პროცედურის მიხედვით (დამტკიცებულია ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს მიერ 2018 წლის 7 თებერვლის დადგენილებით, ოქმი N 3).

8. კონკურსის შედეგები ძალაში შედის 2022 წლის 12 ივლისიდან.